№ 261

შაბათი, 2 დეკემბერი 1895

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვ. | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1895

# ივერია

№ 261

შაბათი, 2 დეკემბერი 1895

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**„ივერია“**

გამოვა 1896 წელსაც

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

**ტფილისი,**

**„ივერიის“ რედაქციას**

ნიკოლოზის ქუჩა, 21.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

საფოსტო ადრესი:

**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

**წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების** წინარეხის სკოლაში დაცლილია მასწავლებლის ადგილი, ვისაც ჰსურს აქ სკოლაში მას წავლებლად განწესება, თხოვნა უნდა შეიტანოს საზოგადოების გამგეობაში. ჯამაგირად ეძლევა მასწავლებელს 360 მანეთი. ამას გარდა ექნება სადგომი და სათბობად სკოლისგან მიეცემა შეშა.

29 გიორგ. 1895 წ.

(3—3)

**ტფილისის გუბერნიის კეთილშობილთა წინამძღოლი** მოიწვევს თავად-აზნაურობას გუბერნიისასა, განსაკუთრებულ საგუბერნიო კრებაზე, რომელიც შესდგება ტფილისის თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკის სადგომში ჩვიდმეტს მომავალს დეკემბრისასა, ათს საათზე დილით, ამოსარჩევლად ორის დეპუტატისა, დასასწრებლად აწ მდგომიარე უწმინდესის გვირგვინოსნობისა მათის იმპერატორებით უდიდებულესობათა.

(3—6—3).

ქართული თეატრი.

ოთხშაბათს, 6 დეკემბერს, 1895 წ.

ბენეფისი

**ეფ. ს. მესხისა.**

„ქართულ დრამატიულ საზოგადოების“ დასისაგან

წარმოდგენილი იქნება

ქ-ნ ე. მესხისა და ბ. კ. მესხის მონაწილეობით

პირველად ახალი პიესა

## მძლემა

დრამა 4 მოქ. და 6 სურათად სუვორინისა და ბურენინისა, თარგმ. დ. მესხის-მიერ.

მონაწილეობას ღებულობენ: ქ-ნ ეფ. მესხისა, ჩერქეზიშვილისა, ჩხეიძისა და სხვ. ბ-ნნი კ. მესხი, გუნია, გედევანოვი, კანდელაკი, ადამიძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. მოწაფეებისათვის ადგილები ლოჟების უკან 65 კაპ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად: „ჭირვეული ცოლის მორჯულება“ კომ. 5 მოქ. ვ. შექსპირისა, თარგმ. კ. მესხის-მიერ.

რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

დაიბეჭდა და ისყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

## კრებული

არითმეტიკულის ამოცანებისა და რიცხვითის მაგალითებისა.

მოსამზადებელი კურსი

შედგენილი

რ. ჯაჯანაშვილის მიერ

გამოცემა მესამე,

შეუცვლელად გადმობეჭდილი მეორე გამოცემიდგან, რომელიც მოწონებულია სახელ-მძღვანელოდ კავკასიის სამოსწავლო ოლქის სამზრუნველო რჩევისაგან.

ფასი ხუთი შაური.

10—7

## ტფილისი, 2 დეკემბერი.

გერმანიაში ამ ჟამად მეტად საყურადღებო ამბავი ხდება. იმ რეაქციონურმა ძალამ, რომელმაც შარშან განიზრახა მუშათა მოძრაობის რეპრესიულ კანონებით შეზღუდვა-შევიწროება, დღეს სხვა გზა აირჩია, სხვაგვარ საშუალებას მიჰმართა თვისის განზრახვისა და წადილის აღსასრულებლად. სასამართლოების განაჩენებით, ადმინისტრატულის დევნით და სხვა ამგვარის საშუალებით გერმანიის მთავრობამ ბრძოლა გამოუცხადა გერმანიის მუშათა ორგანიზაციას...

ჩვენს მკითხველებს, რასაკვირველია, ეხსომებათ, რომ ჯერ ისევ კაპრივის კანცლერობის დროს მთავრობამ შეიმუშავა კანონ პროექტი, რომლით გერმანიის სისხლის სამართალში უნდა შეტანილიყო ახალი მუხლები მათ წინააღმდეგ, ვისაც „რევოლიუციით და ძალმომრეობით განუზრახავს ახლანდელის წეს-წყობილების გადაკეთებაო“. პროგრესიულმა საზოგადოებამ მაშინ ამ პროექტში დაინახა პოლიტიკურ თავისუფლების წინააღმდეგობა, დაინახა მთავრობის სურვილი ბეჭდვითის თავისუფლების შევიწროებისა, საზოგადოებრივის ინიციატივის გაქარწყლებისა, მეცნიერების თავისუფლების შეზღუდვისა და ამიტომ საკვირველის ენერგიით წინააღუდგა კანონპროექტს. პრესსა, საზოგადო დაწესებულებანი, სამეცნიერო წრეები, მრავალი მიტინგები და სხვანი პროტესტს პროტესტზე უგზავნიდნენ მთავრობას და მალე კანონპროექტი, სახელ-წოდებით „უმშტურც“, „უმშტურცფორლაგე“, სამასხაროდაც, სასაცილოდაც აიგდო მთელმა გერმანიამ. პარლამენტმა დიდის უმრავლესობით უარ-ჰყო ახალი კანონ-პროექტი და მით დემოკრატიას დიდი ფაქტიკური და ზნეობრივი გამარჯვება არგუნა. პარლამენტმა უარ-ჰყო რეპრესიული კანონები იმ სამართლიანის მოსაზრებისა გამო, რომ რეაქციითა და ძალადობით სოციალ-დემოკრატულის მოძრაობის მოსპობა არ შეიძლებაო და რისთვისღა მივცეთ ხელში მთავრობას მძლავრი იარაღი, რომლითაც ის ისარგებლებს პოლიტიკურის თავისუფლების შესავიწროებლადო!..

საზოგადოებამ დაჰგმო რეაქცია და პარლამენტმა უარ-ჰყო რეპრესიული კანონი, მაგრამ ამით ვერ აილაგმა მთავრობისა და რეაქციონერთა წადილი. როგორცა ვთქვით, მათ აირჩიეს სხვა გზა ძველის კანონების შემწეობით, ადმინისტრატულის ძალ მომრეობით დაუწყეს დევნა მუშათა მეთაურებს, დაუწყეს ბრძოლა მუშათა პოლიტიკურს ორგანიზაციას. შინაგან საქმეთა მინისტრის კელლერის მეთაურობითა და დარიგებით უბრალო შემთხვევათა გამო გაჩაღდა სოციალისტთა ჟურნალ-გაზეთების დევნა, რედაქტორების სამართალში მიცემა, პარტიის მეთაურთა გაჩხრეკა და დატუსაღება, მუშათა ზოგიერთის კომიტეტების დახურვა და სხვა. ადმინისტრაციის ამგვარს განგაშს დროგამოშვებით მოწონების კვერს დაჰკრავდა ხოლმე თვით გერმანიის იმპერატორიც, რომელიც თვისს სხვადა-სხვა სიტყვაში იმეორებდა—გერმანიაში ძლიერ მავნე და საშიშარი მოძრაობა არისო, მასთან მედგარი ბრძოლა გვჭირიაო, მე დიდს იმედებს ვამყარებ ამ შემთხვევაში ჯარზედაო და სხვა!

თუ რა უბრალო და უმნიშვნელო საბუთს სცნობს გერმანიის მთავრობა საკმაოდ, რომ სდევნოს სოციალ-დემოკრატია, ცხადად სჩანს შემდეგის შემთხვევისაგან. მუშათა უკანასკნელის პარტაიტაგის (პარტიის კრების) დროს ბრესლავლში ცნობილმა დეპუტატმა ლიბკნეხტმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც, სხვათა შორის, დაახლოვებით შემდეგი სთქვა: უკანასკნელს დროს ზოგიერთები სარგებლობენ გერმანიაში უმაღლესის მმართველობის წარმომადგენლის სახელით, სარგებლობენ მისის მაგალითით და უპატიურად გვიხსენიებენ, ბინძურის სიტყვებით ეხებიან ჩვენს მოღვაწეობასა და მიმართულე-

## ფელეტონი

**მეოთხე რეხა.**

(მგზავრის წერილები)

წერილი მეორე.

ბრძოლა ცხოვრების მეჯლისზე.

შემდეგი*)

V

ზაფხულობით ამ თრიალეთის მთების კალები სწორედ რომ უკვდავებაა ცხვართათვის. მაგრამ აქ კიდევ ზოგჯერ სიცივე უჭირებთ საქმეს. ხან მოსვლისათანავე მაისში უწყდებათ მოულოდნელ სიცივისაგან დიდძალი ცხვარი და ზოგჯერაც ზაფხულის ბოლოს, ვიდრე ცხვარი შინათკენ დაიძვრის.

შარშან სექტემბრის შვიდში უეცრად ისეთი თოვლი და სიცივე ასტყდა, რომ ამ მთების იალაზე მოსული ცხვარი კინაღამ სრულებით გაწყვიტა. მარტო ერთ თუშს თოვლის ბუქმა და ნამქერმა აბულის კალთებზე უსწორო და ორი ათასი ცხვარი დაყინა, დაურჩო—ცხვარი ხომ აბუეტია.

მეტად გულ-საკლავი სცენა იყო, როდესაც ამოდენა ცხვრის პატრონი, ამინდის კაპრიზით (ქინიანობით) რამდენიმე საათში ხელ-ცარიელი დარჩა. საწყალი კაცი, მდუღარე ცრემლით მტირალი დაყინულ ცხვრებს თითო აბაზად იშორებდა თავიდამ, ოღონდ გზის ფული აეღო და შინ ცოცხალი მაინც მისულიყო.

რასაკვირველია ამ კაცს აკლდა გამოცდილება და ამიტომ ვერ გაიტანა თავი ცხოვრების მეჯლისზე ბრძოლაში, თორემ მერე ბევრი ვაჭარი გამოჩნდა, რომელნიც ტყავისათვის და დუმა-ქონისათვის თითო ცხვარში მანეთსაც არ დაიშურებდნენ, რადგან ქონი საპნის ქარხანისათვის უნდოდათ, მაგრამ აჩქარდა უბედური კაცი.

ერთი საინტერესო ეპიზოდიც ამ მწყემს-მეცხვარეების ცხოვრებიდამ.

„ფოგაში რამდენიმე წელიწადი მიკიტნის დუქანი მქონდა—ასე გვიამბო სერგომ—ზაფხულობით მთიულები მოერეკებოდნენ ცხვარს ამ იალებზე (თრიალეთზე), ღმერთმა ააშენოს იმათი ოჯახი სინიდისის ხალხია და მეც ყველასთან პირიანად ვვაჭრობდი. ერთხელ იმათი სარქალი მეწვია და მეც კაი პატივი ვეცი. რომ მეთხოვებოდა მითხრა:

— სერგოჯან, ამდენი წელიწადია შენთან ვვაჭრობთ და ამ ჩვენთვის უცხო ქვეყანაში გვპატრონობ, ამით შენი ძლიერ მადლიერნი ვართ ყველანი. ალბად ჩვენც კაცს გვეძახიან ქუდი გვხურავს, შენ პატივისცემას გადაგიხდით. აი რა არის ძმაო...

ამ ერთ კვირაზე სუყველას ცხვარი ჩამოივლის—შინ მივდივართ—შენ, ჩემო ძმაო, აგერ იმ გორასთან პურ-ღვინოთი დაგვიხვდი და ზარალში არ ჩავარდებიო.

„მეც მოვემზადე და დანიშნულს დროს, დანიშნულს ალაგას ისეთის ხარჯით დავუხვდი, რომ თქვენი მოწონებული. გათავდა თუ არა ლხინი, ახლა ბატონო, მოჰყვნენ და იმან ათი ცხვარი მომილალა, იმან ოცი, იმან ოც-და-ათი... შევხედე და ააშენოს ღმერთმა იმათი ოჯახი! ას ოცდა-სამი ცხვარი მომიგროვეს საჩუქრად.

„ყველაზე მეტი-კი ი სარქალმა მაჩუქა და მერე მითხრა:

— ღმერთმა, ძმაო, მშვიდობაში მოგახმაროს ეს ცხვარი და ერთი ასად გიქციოს, მაგრამ აი რა არის... შენ ამათი შენახვა გაგიჭირდება, აი ძმავ, ნიშანი დავადოთ და ჩემს ცხვარში გავურევ შენს ბედობაზე. გაის რომ მოვალთ, მაშინ ინახულე შენი საქონელი.

„მე დიდი მადლობა ვუთხარი—თუ-კი ძმავ მაგისთანა სიკეთეს იზამ-თქო...

„დადგა გაზაფხული, კვლავ მოვიდნენ თუშები, მორეკეს ცხვარი, მაგრამ ის ჩემი ნაცნობი კი არსად გამოჩნდა; ასე გაიარა 2—3 წელიწადმა... ის კაცი აქეთკენ აღარ მოვიდა და აღარც მისი ცხვარი მოსულა. ამბავი-კი მომდიოდა, რომ შენი ცხვარი მშვიდობიანათაა და ეხლა 400 გახდაო. მეც ვიფიქრე: ე მადლობა ღმერთს, ალბად ჩემს ბედს უმუშავნია-მეთქი...

„ერთ გაზაფხულსაც ვნახოთ ერთი ვიღაც თუში დაგლეჯილ ტანისამოსით მომადგა დუქნის კარებზე... გამარჯვება შენი სერგოო...

— ?!.

— ვაი ჩემს თავს ველარ მიცანი განაო... „მართლაც და ძლივს ვიცანი ის ჩემი მეგობარი სარქალი.

— რა იყო კაცო, როგორ იყო, ეგ რა ამბავია შენს თავს-მეთქი.

— რაღა როგორ იყო—მიპასუხა დავიღუპე კაცი სერგოჯან... აი ხომ მხედავ, რა ვიყავი და ახლა რა ვარ... მაგრამ, ძმაო, ეჰ მადლობა ღმერთს, ალბად მისი ნება ასე იყო—მეწერა და გადამხდა. შენთანაც, ძმაო, პირშავად გამოვედი...

„თურმე იმ 2—3 წელიწადხ ზაფხულობით საითლაც კავკავის მთებისკენ დაჰყავდა ცხვარი... ერთ ზაფხულსაც, როცა ცხვარი არხეინად სძოვდა, უეცრივ ამოვარდა საშინელი გრიგალი და ქარიშხალი, ასტყდა ჰექა-ქუხილი, დაფრთხა ცხვარი, ერთი ყოჩი სალ კლდეზე, თვალ-ჩაუწვდენელ ხრამში გადავარდა, ქარის გრიგალმაც ხელი შეუწყო და მთელი ფარა, ექვსი ათასი ცხვარი იმ ერთ-ცხვარს გადაჰყვა და თერგის ხეობაში უფსკრულს ჩაიღუპა.—დარჩა ეს საწყალი კაცი ხელ-დაბანილი.

„უბედური ძლიერ შემეცოდა... რა კაციც იყო, იმის აჩრდილიც არა ჩანდა, ისე მოკაკულიყო წელში რომ ნახევარიც აღარ სჩანდა... ჩემი ცხვრის

*) იხ. „ივერია“ № 260.

ბას; მაგრამ იცოდენ, რომ ჩვენ ძლიერ მაღლა ვდგევართ და მრავალგვარი ცილის-წამება, უშვერი, უმსგავსი და უსამართლო გინება ჩვენ ვერ შეურაცხგვყოფს; რომ ტალახი, რომელსაც ჩვენკენ ისვრიან დღეს, უკანვე უბრუნდება მათ, ვისაც ჩვენი შეგინება განუზრახავს! ამ სიტყვებში პროკურატურამ იმპერატორის შეურაცხყოფა დაინახა და ორატორი სამართალში მისცა. სასამართლომ ლიბკნეხტი დამნაშავედ სცნო და პატიმრება მიუსაჯა. სასამართლოს განაჩენში ეწერა: თუმცა ლიბკნეხტის სიტყვაში იმპერატორის პირდაპირი შეურაცხყოფა არ არის, მაგრამ შესაძლებელია (sic) ზოგიერთებმა ეგ სიტყვა იმპერატორის შეურაცხყოფად ჩასთვალონ!!

ამგვარ შემთხვევათა გამო გაასამართლეს და დაატუსაღეს „ფორვერტს-"ის რედაქტორები, გასჩხრიკეს აუერი, ზინგერი და სოციალისტთა სხვა წინამძღოლნიც, დახურეს მუშათა რამდენიმე საარჩევანო ბიუროები და სხვა.

მაგრამ ყოველს ამას გადაეჭარბა, ყოველივეს ალემატა ის საშუალება, რომლის შესახებ ამ დღეებში გვაცნობა ტელეგრაფმა. პრუსიის შინაგან სამინისტრომ განკარგულება მოახდინა, სოციალ-დემოკრატთა ყველა საარჩევანო კომიტეტები და ცენტრალური ბიურო, ესე იგი, პარტიის მთელი პოლიტიკური ორგანიზაცია, მოსპობილ იყოს იმ დრომდე, სანამ სასამართლო გარდასწყვეტდეს—უნდა მოისპოს თუ არა მუშათა ორგანიზაცია სამუდამოდ კანონის დარღვევის გამოო! გაზეთების სიტყვით, ამ შემთხვევაში პრუსიის შინაგან საქმეთა სამინისტრომ, უმჯობესი იქნება ვსთქვათ,—მისმა მმართველმა კელლერმა — ისარგებლა ძველის-ძველ კანონით, რომლით პარტიებს აკრძალული აქვს კომიტეტთა შუა კავშირის დაარსება, ბიუროთა ერთმანეთისაგან დამოკიდებულება. ცხადია, რომ თავისუფალს ქვეყანაში, იქ, სადაც საყოველთაო საარჩევანო უფლება არსებობს, ამგვარს კანონს არ შეიძლება ჰქონდეს ადგილი, და მართლაც ის დღემდის მივიწყებული იყო, მაგრამ რეაქციისათვის გამოდგა და ამიტომაც არხივიდამ ამოსჩხრიკეს. შესაძლებელია სასამართლომ არ შეიწყნაროს ბრალდება, მით უმეტეს, რომ კელლერი მთავრობამ კიდეც გადააყენა სამსახურიდამ (თუმცა ამბობენ, კელლერის გადაყენების მიზეზი ის იყო, რომ მინისტრმა თვისი საოცარი განკარგულება კანცლერის, ჰოჰენლოეს, დაუკითხავად მოახდინაო); შესაძლებელია ისიც, რომ სასამართლო კანონიერად ჩასთვლის მთავრობის განკარგულებას, მაშინ უკანონოდ უნდა სცნონ არა მარტო მუშათა პარტიის, არამედ ყველა პოლიტიკურ დასის ორგანიზაცია. ვნახოთ, როგორ გამოვა ამ ალტერნატივიდამ გერმანიის სასამართლო!

აი ამ გვარი შეტაკებაა დღეს გერმანიაში რეაქციისა და დემოკრატიის შუა. ეს კონფლიქტი, რასაკვირველია, მხოლოდ ერთი მომენტია, ერთი ეპიზოდია დიდის ბრძოლისა, რომელიც არსებობს კლასთა შორის. ეს კონფლიქტი დღეს არ დაწყებულა და ხვალ არ გათავდება. მას შემდეგ, რაც მუშათა კლასი ცნობიერად გამოვიდა საისტორიო მოედანზე იმ დრომდე, სანამ მუშათა სამართლიანი მისწრაფებანი არ განხორციელდებიან, ადგილი ჰქონდა და ექნება დაუღალავსა და სასტიკს ბრძოლას.

მხოლოდ საქმე იმაშია, თუ რა გზას და რა ხერხს აირჩევს მებრძოლი სახელმწიფო? თუ პოლიტიკურ დასთა შებრძოლებას, თუ ყოველ პარტიის მოღვაწეობას სახელმწიფო თავისუფლებას მიანიჭებს, და არ მოინდომებს ერთის დაჩაგვრას, ერთის პარტიის დევნას, ერთის პარტიისათვის პოლიტიკურ უფლებათა წართმევას, მაშინ ბრძოლა კლასთა შუა ნორმალურსა და ბუნებრივს გზას არ ასცილდება; ხოლო თუ წინააღმდეგი მოხდა, ესე იგი, თუ რეაქციამ რეპრესიულის კანონებით შეზღუდა მუშათა პარტიის პოლიტიკური მოღვაწეობა, მაშინ დემოკრატია სხვა გზას, უფრო საშიშარსა და სასტიკს დაადგება და თავისას მაინც გაიტანს. რაც ცხოვრების ვითარებათა ნიადაგზე ბუნებრივად აღმოცენდა, რასაც ასაზრდოებენ დღევანდელის წეს-წყობილების პირობანი და გარემოებანი, მას ვერ შეაჩერებს, ვერ შეაფერხებს ვერავითარი რეაქციონული ძალა. საუბედუროდ, ამ ჭეშმარიტებას კიდევ დიდხანს ვერ შეიგნებს ბურჟუაზული სახელმწიფო და მუშათა დევნით, პოლიტიკურ თავისუფლების შევიწროებით ბევრს შფოთსა და განსაცდელს უქადის ქვეყანას.

ლალი.

*) ეს წერილი უკვე დასასტამბად იყო მიცემული, როდესაც ბერლინიდამ დეპეშა წავიკითხეთ—კელლერი სამსახურიდამ არ გადაუყენებიათო. სჩანს, იმპერატორს მოსწონებია კელლერის განკარგულება.

# ახალი ამბავი

*** ხვალ, 3 დეკემბერს, დიდის მთავრინა ოლგა თეოდორეს ასულის 1 ლ საქალებო გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ სცენის მოყვარეთაგან „ტფილისის კრუჟოკში" წარმოდგენა იქნება გამართული. წარმოადგენენ ოსტროვსკისა და სოლოვიევის დრამას „Свѣтитъ да не грѣетъ". წარმოდგენის შემდეგ ევროპიული ცეკვა იქნება გამართული.

*** გაზ. „ნოვ. ობოზ."-ეს ატყობინებენ, რომ განზრახვა აქვთ სოხუმში სამ-კლასიანი სასწავლებელი გახსნანო.

*** „ტფ. ფურც."-ს გუშინდელს ნომერში დასტამბულია ღია წერილი ქალაქის ხმოსანთა მიმართ, რომლით ახალ ჰოლანდიაში მცხოვრებნი სჩივიან—უპატრონოდ ვართ მიგდებული ამ უბედურს დროსაო, ჩვენს უბანში დიფტერიტი მძვინვარებს, უბანი ანტიჰიგიენურს მდგომარეობაში არისო და სხვა. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ქალაქის გამგეობა ყურს ათხოვებს ამგვარს ღაღადს და მიაქცევს ყურადღებას ახალ ჰოლანდიას.

*** როგორც სჩანს რუსულ გაზეთებში დასტამბულ განცხადებიდამ, დღეს ქართველ თავად-აზნაურთა თეატრში წარმოდგენილი იქნება სცენები ოპერეტებიდამ „კრასნოე სოლნიშკო" და "ბოკაჩჩიო" წყალდიდობისაგან დაზარალებულთა ქუთ. და ტფილ. გუბერნიის მცხოვრებთა სასარგებლოდ.

*** ამ დღეებში ლანჩხუთში უპოვნიათ ორი დამრჩვალი კაცის გვამი, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერ გაიგეს, ვინ არიან ეს დამრჩვალნი, რადგან სახე სრულიად გაფუჭებული აქვთ თურმე.

*** ერთს ახირებულს ამბავს გვწერენ სამტრედიიდამ: იქაურ მცხოვრებთ ამ რამდენისამე თვის განმავლობაში განუზრახავთ სამკითხველოს დაარსება. ამ კეთილ განზრახვას დიდის თანაგრძნობით თურმე მოეკიდნენ, მკვიდრთა გარდა, იქაურ რკინის გზაზე მოსამსახურე ქართველები და, თუმცა იმ ოთხიოდ ინტელიგენტთ, რომელნიც ამ ჟამად სამტრედიაში არიან, ხელი არ შეუწყეს, მაგრამ მაინც იმდენი მოახერხეს, რომ დანიშნეს ამ საქმისათვის კრებები, ამოირჩიეს თავმჯდომარე, მისი თანაშემწე, ზედამხედველი კომიტეტი და დიდის ხალისითა და სურვილით შეუდგნენ წიგნთ-საცავის დაარსების საქმესა. ბ-ნმა იორდანე სიხარულიძემ მუქთად თურმე დაუთმო სახლი და ნივთიერი დახმარებაც აღუთქვა წიგნთ-საცავს. მაგრამ გამოჩნდნენ თურმე ისეთები, რომელთაც, თავისის პირადი ინტერესისათვის, ხელი შეუშალეს ამ საქმეს და, ნაცვლად იმისა, რომ იმ ბნელით მოცულს კუთხეს ცოტა რამ ჰქუის მასალა მიჰმატებოდა, ჩხუბი და უსიამოვნება ჩამოაგდეს ამ საქმისათვის მოღვაწეთა შორისაო. ჯერ-ჯერობით ეს საქმე დაშლილია და ვნახოთ შემდეგში რა იქნებაო, გვწერენ.

*** სოხუმიდამ გვწერენ, რომ, დიდის ხნის ჩივილისა და თხოვნის შემდეგ, მთავრობას ბრძანება გაუგზავნია იქაურ პოლიციისათვის კვირა-უქმე დღეებში გარდა ორი საათისა, ნაშუადღევის 12 საათიდამ ორამდე, დახურული იყვეს ყველა მაღაზიები, რათა ამ დღეებში მაინც ჰქონდეთ იქაურს ნოქრებს მცირეოდენი თავისუფალი დრო.

*** ტფილისის სასულიერო სემინარიამ იდღესასწაულა ჩვეულებრივ 30 ნოემბერს წმ. მოციქულის ანდრია პირველწოდებულის დღე. მწირველი იყო ყოვლად-უსამღვდელოესი ეგზარხოსი ვლადიმირი კრებით. ქართული ხორო წინა საღამოს უკეთ გალობდა, ვიდრე წირვაზე. ამისი მიზეზი ჩვენ არ ვიცით რაში მდგომარეობს. საღამოს შვიდს საათზე გაიმართა სალიტერატურო საღამო, რომელზედაც გარდა მოწაფეთა და მასწავლებელთა გარეშე პირნიც კარგა ბლომად დაესწრნენ: არხიმანდრიტი ნიკოლოზი, კ. ნ. რეიტერი, დეკანოზები—პეტრიაშვილი, იუნიცკი, ზვერიევი, ნ. გ. ტატიშვილი და სხ. პატარა ბაშვებისაგან ლექსების წაკითხვამ დიდად ასიამოვნა დამსწრენი. სიმღერათა შორის მეტად კარგი მოსასმენი იყო გურული კილოები, მეტადრე „ხელ-ხვავი" და „ინდიფრინდი". მოწაფეთაგან ქართული ლექსების კითხვას რაღაც რამ აკლდა, თითქოს მარილ-მოუყრელი იყო. ამისი მიზეზნი არიან თვით მოწაფენი, რასაკვირველია. კარგი იყო ავეტიქას სცენის კითხვა, უფრო კარგი იქნებოდა, ცოტა რამ სიდინჯე რომ ეხმარა ბ—ვს. კარგი იყო პატარა ბაშვებისაგან ლექსების კითხვა: „ყინვა და მოსწავლე", „Демьянова уха". კარგი იყო აგრეთვე ფისგარმონის აკომპანიმენტით პიანურებზე დაკრული მენდელსონის და გაიდენის ჰანგები.

უკანასკნელ სამჯერ იქმნა განმეორებული რუსთა საერო საგალობელი „Боже царя храни" პიანურების და ფისგარმონის აკომპანიმენტით. შესამჩნევი იყო უცხოელთაგან ნასესხი კილოების სიმღერა ქართულის ლექსებით, როგორც ბედაურზე

---

დარდი ვილას ჰქონდა— სადაც იმის 6000 დაიღუპა, იქ ჩემი 400 იც თქვენი ჭირის სანაცვლოდ იყოს.

„იმ ზაფხულს ეს კაცი აქ მთაში დარჩა თავის მეზობელ მეცხვარეების ბინებზე.

„ცხვარმა რომ შინ წასასვლელად ჩამოიარა, ის ჩემი მეგობარი თუში გახარებული ვნახე—წელშიაც გამართულიყო და პირიც მოეპარსა, ულვაშეიც დაეგრიხა...

თურმე ხუ ბოძახებთ, ყველა თუშს თავის ფარიდამ უჩუქებია ვის ათი, ვის ოცი და ვის ოცდა-ათი ცხვარი, ასე რომ ათას-ორასი ცხვარი (1200) მოუგროვებიხათ და მთელი ფარის პატრონი გამხდარიყო...

„მე გამიკვირდა და ასე ამიხსნეს, რომ ეს ჩვეულებად, წესად გვაქვსო.

— ვინ იცის, ძმაო, შუბლზე რა გვიწერია, დღეს რა მოაქვს, ღამეს რა? აგერ დღეს თუ ხუთი ათასი მყავს, ხვალ ღმერთმა უწყის, შეიძლება მეც ხელ-ცარიელი დავრჩე— მაშინ მეც მიშველიან.—ასე დაამბოლოვა სიტყვა ერთმა მდიდარმა თუშმა.

„წრეულ ზაფხულსაც აქ ვნახე და ეხლა როგორც მითხრა, უკვე 4000 ცხვრის პატრონია".

სხვათა შორის, მე გამოვიკითხე— აქ რომ ამისთანა საძოვრები არის, რატომ აქაური მემამულენი არ ეწყობიან ცხვრის მოშენებას. ამათ ის აზრი გამოსთქვეს, რომ, რა კაციც საქმეში თითონ შიგ არა სდგას, ზარალის მეტს ვერას ნახავსო. მომეტებული ნაწილი მეცხვარეებად აქ ქურთები დგებიან, შევხედავ და მოგიტანს ცხვრის მძორს—მგელმა შეჭამაო, ნამდვილად-კი თავის გამოხრულია. რომელი ცხვარიც თვალში მოუვა, ყელში სწვდება და რამდენიმე ალაგს ხანჯლის შვილით ისე დასჩხვლეტს, რომ მგლის ნაკბილარს დაემზგავსოს. მერე მოათლის ვეებერთელა დუმას, გამოიღებს შიგნეულებს, ამოსჭრის სუკებს და ოთხივე ფეხის ობილებს—და აბა სხვა რაღა უნდა, მერე ძაღლებს გადაუგდებს საჯიჯგნად და სათრევლად, რა არის მგლის ნაგლეჯ-ნაჭამს უფრო დაემზგავსოსო. ამ გვარ მძორს მოგიტანს და გადმოგიგდებს... აგერ ბარათა... მგელმა შეჭამაო...

მატყლს თუ იტყვით, იმასაც, ვიდრე გაპარსვის დრო დადგებოდეს, მწყემსი ნახევარს კიდეც გამოწიწკნის და ჩუმად ჰყიდის. აბა რძე რა არის და იმის მოპარვასაც-კი ახერხებს: კალთაში მალულად ხარის ბუშტი უდგია და როცა სწველის, თავისს პაოკსაც ამსებს. მერე აკეთებს ყველს და უჩუმრად ჰყიდის. რას იზამ!..

მოდი ახლა და შენ ჩამოუდექი!

არა ძმაო, რა საქმეშიაც შენ თითონ არ დგეხარ, იმ საქმიდამ ხეირს ნუ გამოელი.

„ცხვარო ვისი ხარ?
ვის კარზედაც ვბლავი"-ო.

ამ ანდაზით დაამბოლოვა თავისი სკეპტიკური ჰაასი ჩემმა თანამგზავრმა.

მე-კი იმ აზრისა ვარ, რომ აქ მწყემსი არაფერშია გასამტყუნარი... აქ მხოლოდ ბრძოლაა ცხოვრების მეჯლისზე.—თუმცა უსწავლელია, მაგრამ მწყემსმა ბუნებრივი წესი ალღოთი იცის და ცხოვრებ-ქონების გათანასწორების პრინციპს მისდევს— განა არც ერთხელ არ მოსდის ფიქრად, ბიჭოს ეს სადაური სამართალია, ამ კაცს ხუთასი ცხვარი ჰყავს და მე-კი არც ერთიო.

ეჰ! ვინც იცის, რა ჯოჯოხეთური ცხოვრება აქვთ მეცხვარეებს, ის და ნაშაულად არ ჩაუთვლის ერთი და ორი ცხვრის შეჭმას. მე გაკვირვებული დავრჩი, როდესაც გამოვიკითხე ამ ხალხის ცხოვრება. წარმოიდგინეთ პური არც-კი აქვთ საჭმელად, თურმე ძოხალვენ ქერს, დაფქვამენ და ეს ფქვილი აწყვია ბინებზე. გაუვსებენ მწყემსს გუდას ამ ფქვილით და ის არის მისი საზრდო რამდენიმე დღით. ამ ფქვილს თურმე წყალში აფშოუკვენ ხოლმე და ქუმელივით სჭამენ. სასმელს-კი არა უჭირსრა, როცა რძეს დრიტვათი აჭრიან და ყველს აკეთებენ, მონარჩენი რძის შრატი თავზე სასმელად აქვთ. ამისთანა კვება ერთის შეხედვით ვაი-ვაგლახისაა, მაგრამ რადგან მათი კუჭი შეჩვეულია და კარგად ინელებს, ამიტომაც ეს შრატი და ქერის ფქვილი ძლიერ ასუქებს მწყემსებს.

რაღა თქმა უნდა ზოგჯერ ჩიჩიაც შეხვდებათ ხოლმე და თუ კარგ მეპატრონეს ხელშია, ნუნუათიც ზოგჯერ ეზიარება.

ჯამაგირი 8—9 თუმანი აქვთ წელიწადში და ამ ფულისთვის დღე არა აქვს მოსვენება და ღამე. დილა ადრიანად, თოვლს აიღებს თუ არა, აშლის ბინიდამ ცხვარს და მთელი ცისმარა დღე მათ დამდომას ცდილობს. ამ დროს წვიმაა, ტალახია თუ სიცხე-პაპანაქება, ყველაფერი უნდა აიტანოს.. ბინაზე მივა ღამე და მთელი ღამე დარაჯად უნდა იდგეს, ან მგელმა არ მოსტაცოს ცხვარი, ან მგელ-კაცმა.

აგერ წელსაც მოხდა უბედურება, რომელსაც საზარელი შედეგი მოჰყვა. თავ-კვეთელას ძირში, ამ გაზაფხულზე, თათრები მისულიყვნენ ცხვრების მოსაპარად. მწყემსი-მეცხვარე, რასაკვირველია ღამე ფრთხილადაა, როგორც მგლისა და სხვა ოთხ ფეხ ნადირისა ეშინია, ისე ორფეხა ძეცებისაც. ქიზიყელმა მწყემსმა ღამე ვერ გაარჩია, ქურდი ორფეხა ნადირი მგელი ჰკონებოდა, ესროლა თოფი და ერთი თათარი თურმე ტყვიით დაეჭრა, რომელიც გზაზე მოჰკდომოდათ მის ამხანაგებს ბორჩალელ თათრებს.

ამ ორიოდე თვის წინად კიდევ ერთი თათარი მოკლა სომეხმა მწყემსმა, რომელიც ბარალეთის ზემოდ ცხვარსა მწყსიდა და ღამე მიუხტა თათარი ცხვრის მოსაპარად. ეს-კი ჩემის აზრით გადაჭარბებული ბრძოლაა ცხოვრების მეჯლისზე.

ილ. ალხაზიშვილი.

(შემდეგი იქნება).

ფლანი. უნდა შევნიშნოთ, რომ ქართლ-კახური არც ერთი ხალხური კილო არ უმღერნიათ მოწაფეებს და დამნაშავენი თვითვე არიან. თუ გურული ათამდე სიმღერის თქმა არავინ დაუშალა, ვინ დაუშლიდა ორიოდე რამ ადგილობრივი სიმღერაც ეთქვათ?

*** 29 ნოემბერს სხდომა ჰქონდა ქალაქის გამგეობასა და იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს რითიმე ჩინებულ ჰყოს ქორწინება ხელმწიფე იმპერატორისა. კომისიას აზრად ჰქონდა ქალაქში უსასყიდლო წიგნთ-საცავი და სამკითხველო დაეარსებინა, მაგრამ ქალაქის მოურავმა თ. ავ. არღუთინსკი-დოლგორუკოვმა წინადადება შეიტანა, რომელშიაც აცხადებდა, რომ უფრო შესაფერი იქნება ეხლავე დავაარსოთ ტფილისში ქალაქის ხარჯით „შრომის მოყვარეობის თავ შესაფარი“, რომელსაც ის დანიშნულება ექნება, რომ გაჭირვებულთ საქმე და სამუშაო მოუძებნოს, მასალა და იარაღი მოუპოვოს სამუშაოდ და იმათს ნამუშავარს მუშტარი გაუჩინოსო. ამათ რაკი დროებით ბინა ექნებათ თავ-შესაფარში და მუშაობა შეეძლებათ, ადვილად აიტანენ უმუშაობის ხანას, ლუკმა-პურის გამო იძულებულნი აღარ იქმნებიან სამათხოვროდ გაიწოდონ ხელი. ამ თავითვე საკმარისი იქნება ორმოცდა-ათის კაცისათვის დაარსდეს, სახელდობრ 35 მამაკაცისა, 5 დედაკაცისა და 10 ორივე სქესის ბავშვისათვის. შეერთებულმა სხდომამ ხუთის ხმის უმეტესობით წინააღმდეგ სამისა ის აზრი გამოსთქვა, რომ „შრომის მოყვარეობის თავ-შესაფარი“ იქმნას დაარსებული, უარ ყოფილ იქმნას აზრი სახელოსნო სასწავლებელთან პანსიონის დაარსებისაო. უმცირესობა-კი ქალაქის გამგეობის წევრი თავ. პ. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, ხმ. იოანესიანი და მ. ი. თამამშევი იმ აზრისანი იყვნენ, რომ წიგნთ-საცავისა და სამკითხველოს დაარსება საჭიროა არისო. ამ გვარად კომისიამ დაადგინა: 1, წინადადება იქმნას შეტანილი ქალაქის საბჭოში ქ. ტფილისში დაარსდეს „შრომის მოყვარეობის თავ-შესაფარი“, რომელსაც ეწოდოს: „14 ნოემბრის 1894 წლის სახსოვრად“; 2, პირველში გადადებულ ოთხასის თუმნის გარდა ყოველ წლივ გადაიდოს 1895 წლიდამ დაწყებული ოთხას-ოთხასი თუმანი და 3, ქალაქის გამგეობას მიენდოს, როგორც შემუშავება ამ „თავ-მესაფარის“ წეს-რიგისა, ისე მისი გამართვაც.

*** გუშინ, 1 დეკემბერს, ერთი გასაშტერებელი ამბავი მოხდა ტფილისში. დღისით, თერთმეტე საათზე, ფრეილინის ქუჩაზე გამოვიდა სახელმწიფო ბანკიდამ ვიღაც სომეხი, ხელში ეჭირა ერთი მუჭა ფული. უეცრად მივარდა ვიღაცა, გამოსტაცა ხელიდამ ის ფული და გაიქცა. ბევრნი გამოუდგნენ, მაგრამ ვერას გახდნენ: მტაცებელი გაიქცა, შეუხვია სერგიევის ქუჩას და ჩაიყლაპა. რაოდენი გაბედულობა უნდა ჰქონდეს კაცს, რაოდენად გულ-დანდობილი უნდა იყოს თავისს სიმარჯვეზე, რაოდენად სასაცილოდ უნდა აგდებული ჰყავდეს მთელი ქვეყანა, რომ თითქმის შუადღისას, ამისთანა თვალსაჩინო ადგილას ეს გასაშტერებელი ამბავი ჩაიდინოს კაცმა ასე უშიშრად.

*** დიდი ხანია ჰლაპარაკობენ, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზა რუსეთის რკინის გზას შეუერთონ მთებზე გაყვანილ რკინის გზითვე. ეხლა ამბობენ, რომ პროექტი ამისთანა მთაზე გასატარებელ რკინის გზისა წარუდგენიათ და გზათა მინისტრს გადაუცია ცალკე კამმისიისათვის დაწვრილებით შესამუშავებლადაო. (ჩ. ვ.)

*** პეტერბურგში შესდგომიან იმის გამორკვევას თუ,—რა ღონისძიება იხმარონ ცხენების პარვის მოსასპობლად. არ იქნება ურიგო, რომ იმისთანა უბედურობას რაიმე წამალი უპოვონ და გარდა ამისა სხვა პირუტყვის პარვასაც რომ წამალი რამ დასდონ მეტი არ იქნება.

*** სოფელს სამებას, ოზურგეთის მაზრაში, ამაღლების საზოგადოებაში რკინის მადანი უპოვიათ. იქაურს მცხოვრებელს მელიტონ ჟღენტს „ჩერნო-მორსკი ვესტნიკ“-ის რედაქციაში მიუტანია ნაჭერი მადნისა და უთქვამს ჩემს კუთვნილ მიწაში ბევრია ამისთანაო.

*** როგორც „გრაჟდანინ“-ს გაუგონია, აღუძრავთ საგანი კავკასიის მცხოვრებთ მოუსპონ უფლება იარაღის ტარებისა.

*** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ცირკულიარი გაუგზავნა სასწავლებლების დირექტორებს, რადგანაც ამ ჟამად ტფილისში გადამდები ავადმყოფობანი გავრცელებულია. ვაჟების პირველ გიმნაზიის საპედაგოგო საბჭომ, გიმნაზიის ექიმის დახმარებით, გარდა იმ საშუალებათა, რომლებიც უკვე შემოღებული ჰქონდა, როგორც გარედამ მოსიარულეთათვის საუზმის გამართვა, საავადმყოფოს დაარსება გადამდებ სენით ავადმყოფთათვის, ექიმის-მიერ ყველა პანსიონერებისა და საექვო მოწაფეთა გასინჯვა, დაადგინა შემდეგი საშუალებანი იხმაროს: წარუდგინა წინადადება ბ-ნს ოტტენს, რომელსაც-კი საჭიროება მოითხოვს, მუდამ მზად ჰქონდეთ ახალი, ჭლექირვების წინააღმდეგი, შრატი, კლასსების ზედამხედველებმა მოწაფეები გასინჯონ ხოლმე, საკმაოდ თბილად და კარგად აცვიათ თუ არა ტანთ და ფეხთ ღარიბ მოწაფეთ და თუ არ ექნებათ ტანისამოსი, გიმნაზიამ თვისს ხარჯზე შეუკეროს; გარედამ მოსიარულე მოწაფეებს თვალი ადევნონ, როდესაც სასწავლებლიდამ გამოდიან, ცივსა და წვიმიან დარში, ხელი უთუოდ გაჰყონ ხოლმე პალტოში და შეიკრან ღილები; დაავალონ მოწაფეთა მშობლებსა და ოპეკუნებს, თუ რომ მოწაფე ავადმყოფობის გამო არ გამოცხადდება გიმნაზიაში, დაუყოვნებლივ შეატყობინონ გიმნაზიის მთავრობას, რათა საჭირო საშუალებანი იხმაროს და ექიმი მიუჩინოს, რომ უყურადღებობით ავადმყოფობა გიმნაზიაში დაბრუნების შემდეგ სხვა მოწაფეთაც არ გადაედოს; ამისათვის განმრთელების შემდგომ ავადმყოფმა მოწაფემ ექიმის მოწმობა უნდა წარუდგინოს გიმნაზიის მთავრობას, რომ მას საშიში აღარა აქვს რა; არ მისცეს ნება პანსიონში მცხოვრებ მოწაფეთ მშობლები ინახულონ, თუ რომ მისი მშობლები ქალაქის იმ ნაწილში სცხოვრობენ, სადაც გადამდები სენია გავრცელებული.

*** ს. ცემი (ბორჯომის ხეობა): აქაურს ნიადაგს, ჰავას და საზოგადოდ ბუნებას არ შეგვიძლიან დავემდურნეთ; ხოლო რაც შეეხება გონებით წინ-მსვლელობას, ამაზე-კი უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენი სოფელი ისევ იმ წრეზე დგას, როგორც ამ ოცის და ოც-და-ათის წლის წინად. რამე ქაღალდი რომ მოვიდეს სოფელში, საწყალმა გლეხმა ორი დღე უნდა იაროს, ვიდრე წამკითხავს იშოვნის, ხალხი ისე არ არის დაქვეითებული ქონებით, რომ სკოლის შენახვა არ შეეძლოს, პირ-იქით ესენი მზად არიან გამოიღონ თავისი წვლილი სკოლის დასაარსებლად, თუ გამოვიდა ვინმე და ითავა სკოლის მოწყობა. უპირველესი ვალი ამ შემთხვევაში ადგილობრივ სამღვდელოებას ედება და იმედია აქნობამდის თუ არა, ეხლა მაინც ყურადღებას მიაქცევენ ს. ცემის სამწუხარო მდგომარეობას.

## წერილი კახეთიდამ.

(სწავლა-განათლების საქმე სოფ. ყვარელში).

„ვინც სახნავი უკუღმართად,
მრუდედ ხნას და თესოს, ფარცხოს,
ის მე ბურსა ნუღარ მაჭმევს,
რაც იმ ფქვილით გამოაცხოს!..“

კარგა ხანია, რაც ყვარელში სასოფლო სკოლა არსებობს, რომელიც 1887 წლიდამ ორ-კლასიანად ითვლება. ეს სასწავლებელი სამინისტროს ხელშია; მასზე ყვარელის საზოგადოება ყოველ-წლივ ხარჯავს ფულად 600 მან. მეტს, სამინისტროც ზედმიწევნით ამდენსავე. სასიხარულოდ ყოველის პატიოსანის ადამიანისა სოფლის დაბალი ხალხი თან და-თან იგნებს სწავლის საჭიროებას ამისი დასამტკიცებელი საბუთი ჩვენის ქვეყნის კუთხეებში საზოგადოდ მრავალია, ხოლო კერძოდ ყვარელში ის არის, რომ ამ რამდენისამე წლის წინად ყვარელის საზოგადოებამ თავის ორ-კლასიანი სასწავლებლისათვის მშვენიერი და შესაფერი შენობა ააგო, რომელშიაც წარსულ სასწავლო წელს 100 მდე ბავშვი სწავლობდა. მოსწავლეთა რიცხვი დღითი დღე ისე მატულობს, რომ ორის წლის შემდეგ შესაძლებელია სხვა სკოლა და მასწავლებლებიც დასჭირდეს (ნუ დაგვავიწყდება, რომ ყვარელში 800 კომლამდე მცხოვრებია თავად-აზნაურთა გარდა, და აბა ამოდენა სოფელს რამდენი „წვრილფეხობა“ ეყოლება, თქვენ წარმოიდგინეთ!). ხალხის წახალისებას სწავლის საქმეში, სხვა გარემოებათა გარდა, რომელთაც დროთა სვლა და ცვლილება თვითონა ჰბადებს, კიდევ ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ წარსული სასწავლო წლის დამდეგს ყვარელის ორ-კლასიან სასწავლებელთან დაარსდა სახელოსნო განყოფილება, რომლისათვისაც საჭირო იარაღების სყიდვა და ხელოსან მასწავლებელის დაქირავება, ოლქის მზრუნველის ბ-ნის იანოვსკის განკარგულებით, ოლქის ხარჯით მოხდა როგორც უკვე იციან გაზეთის მკითხველებმა. ხალხმა ეს კეთილი საქმე დიდის სიხარულით მიიღო და დიდი მადლობაც განუცხადა სამოსწავლო მთავრობას... მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ამ წერილშივე დავინახავთ, თუ ამ, ცოტად თუ ბევრად, კეთილად განწყობილს და სწორე გზაზე დამდგარს სასწავლებელს მოულოდნელად რა დაემართა!

ყველამ თუ არა, ბევრმა მაინც კარგად იცის და გაუგონია საცხენისის სახელმწიფო ორ-კლასიანი სასწავლებელი. ამ სასწავლებლის უმთავრესი დანიშნულებაა: მიჰხედოს და შეეწიოს სწავლის მხრივ ობლად და ღარიბად დარჩენილ კეთილშობილთა შვილთ, აღზარდოს იგინი პანსიონში სახელმწიფო ხარჯით და ამ რიგად დაიხსნას განსაცდელისაგან და სიბნელისაგან. რადგან თვით ადგილი საცხენისი ჰავისა და მდებარეობის უვარგისობით შესაფერი არ იყო ამ სასწავლებლისათვის, ამიტომ ამ რამდენისამე წლის წინად სამოსწავლო მთავრობამ განიზრახა მისი გადატანა სხვა უფრო სამჯობინო ალაგას. ამის შესახებ გაიმართა სჯაბაასი, კვლევა-ძიება: სად გადაიტანონ ხსენებული სასწავლებელი, სად უფრო შესაფერი და მოხერხებული იქნება მისი არსებობაო და სხვ. ერთ ხანად მის თელავში მოთავსებასაც ფიქრობდნენ, რის გამოც თავად-აზნაურობამ, თუ არა ვსცდები, 3000 მ. ყოველ წლიური დახმარება და სამეურნეო განყოფილებისათვის საჭირო მიწა აღუთქვა. რად მოარიდა საცხენისის სასწავლებელი სამოსწავლო მთავრობამ ამისთანა ყველასათვის მისაწდომ ადგილს, როგორიც თელავი არის, ჩვენ ამის სიზეზები არ ვიცით, ხოლო ის-კი ვიცით, რომ მას აურჩია სამყოფად სოფ. ყვარელი და დაიბინავა ორის ვერსის მანძილზე, სოფლის თავში, სადაც წინად ქართველთა დრუჟინა იდგა, იმათ დატოვებულ შენობებში და ციხე-გალავანში 1894 წელს სექტემბრის პირველსა.

როდესაც საცხენისის სკოლის ყვარელში გადმოტანას ემზადებოდნენ და ამ საქმეში სოფლის დახმარებას საჭიროებდნენ, მაშინ ხალხს დიდის გრძნობით და ენა-წყლიანად უხსნიდნენ: ბედნიერები ხართ ყვარელელები, რომ საცხენისის სასწავლებელი ბედმა თქვენს სოფელს არგუნაო! რაც ამ სკოლაზე ყოველ წლივ ფული იხარჯება (16,000 მან.), ის სულ თქვენ შორის დატრიალდებაო; თქვენი შვილები ამ სასწავლებელში დაიწყებენ სიარულს და მის წყალობით ნათელში გამოვლენო; ამ სკოლასთან არსებობს სამეურნეო განყოფილება, რომელიც თავისის მაგალითით და დახმარებით ბევრს ცოდნას შესძენს თქვენს შვილებს და თქვენც მიწის შემუშავების საქმეშიო; ამას გარდა, თუ დაგვეხმარებით მისის ქონების საცხენისიდამ გადმოზიდვაში, შრომის ფასსაც მიიღებთო (არც ერთმა ყვარელელმა ჯერ ხმა-კი არ იცის, იმათი მაშინდელი „შრომის ფასი“ ვის ხელშია, ან რაში არგია სოფელს?). ყვარელმა ამ შემთხვევაში თავისი ვალი პატიოსნურად შეასრულა: საკუთარის კაცით და ხარით გადმოზიდა საცხენისის სასწავლებლის ბარგი-ბარხანა კაძლიერებულ კალოობაში, როდესაც თვითონ უფროც უჭირდა მუშა ხელი და საქონელი.

საცხენისის სკოლის ყვარელში გადმოტანა ოლქის მზრუნველმა მიანდო ტფილისის გუბერნიის საერო სკოლების მეორე რაიონის ინსპექტორს ბ. ბაღდანოვს (ეს სკოლაც და სხვა საერო სკოლებიც კახეთში პირველ რაიონს ეკუთვნიან, ამ რაიონის ინსპექტორად ბ. პავლოვია), რომელმაც საქმის დამთავრებისათანავე ოლქის მზრუნველს წარუდგინა აზრი ყვარელის ორ-კლასიანი სასწავლებლის ერთ-კლასიანად გადაკეთებისა და სახელოსნო განყოფილების სრულიად გაუქმების შესახებ. რამ გამოიწვია ეს აზრი და ან რა საფუძველზე აშენდა, ჩვენ ამის განხილვას არ შევუდგებით, ხოლო ყვარელში სასოფლო ორ-კლასიანის სასწავლებლის „მეტობის“ საბუთად ასახელებდნენ იმას, ვითომც საცხენისის სკოლა გაუწევს მეგიერობასაო. მაგრამ, რომ ყვარელის მცხოვრებთა და ხსენებულ სასწავლებელს საერთო არაფერი აქვთ და რომ ის საკუთარი სასწავლებელის მაგიერობას ვერ გაუწევს, ეს ეჭვს გარეშეა ჯერ იმით, რომ საცხენისის სკოლა განსაკუთრებით პანსიონისაგან შესდგება და სწავლის საქმეც მასში განსხვავებულია; მერე იმით, რომ ღარიბი გლეხის შვილი, ნაკლებად განვითარებული, საკუთარი ოჯახიდამ სკოლაში მავალი, მუდამ ჩამორჩება პანსიონში მყოფ ბავშვს რუსულის პრაქტიკულად ცოდნაში, რის შედეგიც მისი განყოფილებებში დატოვება და ბოლოს გამორიცხვა სასწავლებლიდამ ხშირი იქნება; თუნდაც არ გამორიცხონ, იმას ან თვით მობეზრდება ორი-სამი წელიწადი ერთისა და იმავეს სმენა, ან არა და, რაც უფრო შესაძლებელია, მშობლები ამდენი ხანი ვერ მოითმენენ და სწავლაზე ხელს აალებინებენ ბავშვს, რომელიც, დედა-ენის ცოდნას ვინა ჩივის, ვერაფრის ცოდნასაც ვერ გამოიტანს; საფიქრებელია ისაც, რომ პანსიონის მოთხოვნილებას სოფლის ღარიბლატაკი გლეხი ვერ შესძლებს, ვერ აიტანს; უნდა გვახსოვდეს ისაც, რომ თვით სკოლა მეტად დაშორებულია სოფელზე და შვიდი-რვა წლის ბავშვს ამდენ მანძილზე სიარული არ ძალუძს და სხვ. ყველა აქ ნათქვამი ცხადია იქიდამ, რომ ერთი ბავშვიც არ დაიარება ყვარლიდამ, თუმცა ეს მეორე წელიწადი მიდის, რაც საცხენისის სასწავლებელი ამ სოფელში მოქმედებს.

ინსპექტორის წარდგენილ აზრზე გაიმართა მიწერ-მოწერა და აზრების გამოთქმა: პირველის რაიონის ინსპექტორმა განაღამც თუ თანაუგრძნო ყვარლის სკოლის ერთ-კლასიანად გადაკეთების სურვილს, პირიქით, იშუამდგომლა ოლქის მზრუნველთან და სახელოსნო განყოფილებაც მიუმატა. როგორც ზემოდაც ვსთქვით, ყვარლის საზოგადოებამ, ეს განზრახვა რომ გაიგო, თავისს მხრივ განაჩენი დაადგინა: ჩვენის სკოლის ერთ-კლასიანად გადაკეთება არა გვსურსო და წარუდგინა ტფილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორს.

უნდა შევნიშნოთ, რომ საქალებო სასწავლებლის ცალკე დაარსება ყვარელში წინადვე იყო განზრახული, და საზოგადოების სკოლის ორ-კლასიანად დარჩენის მომხრენი ეუბნებოდნენ თავის მოწინააღმდეგეთ: არამც თუ არსებული სასწავლებელი შევამციროთ, არამედ საქალებო სკოლაც უნდა გავხსნათო. როგორც ზემოდ დავინახეთ, ეს აზრიც თავის სასარგებლოდ გამოიყენეს ერთ-კლასიანად [illegible]

ყველა ზემორე ნათქვამის მიუხედავად, წარსულ მაისში ყვარელის სკოლის ზედამხედველს მოუვიდა მოწერილობა მეორე რაიონის ინსპეკტორის ბაღდანოვისაგან, რომ უფ. ოლქის მზრუნველმა საცხენისის და ყვარელის სასწავლებლები მე ჩამაბარა და გთხოვთ ეხლავე დაითხოვოთ სახელოსნო განყოფილების მასწავლებელი; რაც იარაღები აქვს ამ განყოფილებას, დაუყოვნებლივ გადასცეთ საცხენისის სკოლის ზედამხედველს; მეორე მასწავლებლის მაგიერ დაინიშნება მასწავლებელი ქალი საქალებო განყოფილებისათვისო; ვისაც სამსახურისთვის თავის დანებება ჰსურს, ახლავე მაცნობოსო.

როგორც ჰხედავთ, ყოველმა ცდამ ყვარელის სკოლის ორ-კლასიანად დარჩენისამ ამაოდ და ფუჭად ჩაიარა და ამდენი დავი-დარაბა იმით დასრულდა, რომ ყვარელის ორ-კლასიანი სასწავლებელი ამაღლების მაგიერ დამდაბლდა, ერთ კლასიანად გადაკეთდა ხალხის სურვილის წინააღმდეგ; სახელოსნო განყოფილება სრულიად გაუქმდა; საქალებო განყოფილება გაიხსნა და მასწავლებელი ქალიც მოვიდა.

ფ—ლი.

## ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

— ახლად ჯვარ-დაწერილნი ცოლი და ქმარი, სახელად გალლე, ბორდოდამ ეხლახან წასულან ქვეყნების დასავლელად და სანახავად. ქმარი ოცის წლისაა თურმე და ცოლი თვრამეტისა. ქმარი ძალიან კარგი მოსიარულეა ფეხით და დაუპირებია ეს მოგზაურობა ფეხით შეასრულოს, ხოლო ცოლს-კი მაგისი უნარი არა აქვს და ფეხით სიარული მაგდენი არ შეუძლიან. ქმარს აუღია და პატარა ეტლი გაუკეთებინებია და როცა ცოლი დაიღალება, ჩასვამს ხოლმე და თვითონ ატარებს. ამ ხანად ახალგაზდა ცოლ-ქმარნი ვენეტიკაში მიდიან, იქიდამ კონსტანტინეპოლში, მერე სპარსეთში, ინდოეთში და ჩინეთში. ორი წელიწადი მოუნდებიან ამ მგზავრობას, ამიტომაც ეტლში, ყოველ შემთხვევისათვის, ორის ბაშვის ადგილიც არის (ნ. ობ.)

— ვინ მოიფიქრებს, რომ ცაზე მოარული ღრუბელი გაზეთობას, გაზეთის მაგიერობას შეიძლებს და გასწევს. ყველგან და ყოველისფერში ადამიანი, ცოდნისათვის გატაცებული, ეძებს, რომ ბუნება, საცა-კი მოსახერხებელია, იმსახუროს და გამოიყენოს. მისი ცნობის მოყვარე თვალი ღრუბელსაც-კი შეაჩერდა იმ აზრით, რომ გამორჩეს რასმე. ცაზე მოარული ღრუბელი ძალიან მაღლა დადის, შორიდამა სჩანს ძალიან ბევრისათვის. ამისთანა ყოფა-მდგომარეობამ ღრუბლისამ დაუძინებელი აზრი ადამიანისა მიიზიდა და კარგა ხანია კაცს გულში ჩაუდო სურვილი გაზეთის მაგიერობა გააწევინოს ღრუბელსა. ამისთანაებში გავარჯიშებული ამერიკელები არა ერთხელ შეეჭიდნენ ამ მხრით ღრუბელსა, ბევრ-გზით აუარ-ჩაუარეს და ეხლა ამბობენ, მეცადინეობამ უქმად არ ჩაუარაო: დღეს ასე მოუხერხებიათ, რომ საკმაოა კაცმა თავი მაღლა აიღოს, თვალი ღრუბელს მიჰმართოს და რაც დიდი რამ ამბავია დღისა, შეიტყოს ღრუბელზე გამოსახულ ასოებითა და ნიშნებითა. ჩიკაგოში რომ ამ უკანასკნელ ხანებში გამოფენა იყო, ამ მანქანების მომგონნი ადიოდნენ თავისის მანქანით „ხელოვნებათა სასახლის“ ბანზე, ოც-და-ათ საჟენზე დედა-მიწის ზემოდ და აუწყებდნენ ხალხს ყოველს საღამოს რამდენი კაცი ყოფილა იმ დღეს გამოფენაზე. ამისათვის ღრუბელს მიაყენებდნენ იმისთანა შუქს, რომელიც ნიშნებსა და სიტყვებს გამოსახავდა თურმე. როცა გამოფენა ჩიკაგოში გათავდა, იგი მანქანა ნიუიორკში გადიტანეს და დასდგეს ერთის გაზეთის „Wold“ სასახლის ბანზე. უშველებელი სასახლეა თურმე და აქედამ ღრუბელზე შუქით სწერენ თურმე და დღის ახალ ამბებს ატყობინებენ ნიუიორკში მცხოვრებელთ. მანქანა ისეა გაკეთებული, რომ შუქს ღრუბლებამდე აწვდენს. სიტყვებსა და ნიშნებს ამოსჭრიან თურმე ქაღალდის ფიცარზე, ამ ფიცარს წინ აუყუდებენ ხოლმე შუქსა და ამის გამო გამოისახება ხოლმე ღრუბლებზე ასოები და ნიშნები, რა-კი იმ ამოჭრილ ფიცარში გაივლის ერთი წუნი ამისი ის არის თურმე, რომ ზოგჯერ უღრუბლო ცაა და ამიტომ იძულებულ არიან ელოდონ, როდის გაჩნდება ღრუბელი. ხსენებულ მანქანის მომგონნი ეხლა ჰცდილობენ თურმე ღრუბელი განგებ შეჰქმნან ცაზე, როცა უნდათ, ღრუბელი ხომ შეკუმშული ორთქლია, დედა-მიწიდამ ასული. ამბობენ, რომ ან ორთქლს განგებ აუშვებენო, ან ბოლით სავსე ყუმბარას მოიშველებენ, რომ ღრუბელი განგებ აჩინონ ცაზედაო. (H B).

# უცხოეთი

—

**იტალია**. როგორც იქნა დაასრულა იტალიის პარლამენტმა ინტერპელაციების შესახებ კამათი. უკანასკნელი სხდომა, რომელიც ამ საგანს მოახმარეს, უფრო გამწვავებული იყო, ვიდრე წინანდელები. მთავრობას დაეკითხნენ: რისთვის იყო ადმინისტრატულის წესით განდევნილი მილანიდამ საზღვარ-გარედ ერთი ფრანსიელი ქალი? მთავრობის ამ განკარგულებაში ოპპოზიციამ დაინახა უკანონო მოქმედება, რომელიც კიდევ უფრო გაამწვავებს იტალიისა და საფრანგეთის ურთიერთობას. ამ საკითხავიდამ გადავიდნენ საზოგადოდ გარეშე პოლიტიკაზე და დაგმეს ისევ იტალიის მონაწილეობა «სამთა კავშირში“. ამ ინტრეპელაციებზე კრისპიმ ოპპოზიციას ჩვეულებრივი პასუხი მიუგო. ბოლოს პარლამენტი შეუდგა კენჭის ყრას და 267 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 131 ხდომა გამოუცხადა კრისპის სამინისტროს.

—

**ბულგარია**. ჯერ კიდევ სტამბულოვი ცოცხალი იყო, როდესაც ბულგარიის პარლამენტმა გამომძიებელი კომისია აირჩია და მიანდო მას სტამბულოვის სამინისტროს მოღვაწეობის შესახებ სასტიკი გამოძიების მოხდენა. კომისიას ამ ჟამად დაუსრულებია გამოძიება და თხოულობს, რომ სამართალში იქმნან მიცემულნი სტამბულოვის დროის ზოგიერთი მინისტრი, ხოლო სტამბულოვისა და მუტკუროვის მემკვიდრეთა წინააღმდეგ დაწყებულ იქმნას სამოქალაქო დავა სახელმწიფოსა და კერძო პირთა ზარალის შესავსებად. გამოძიებას აღმოუჩენია დიდ-ძალი ძასალა და საბუთი, რომელნიც ამტკიცებენ, რომ სტამბულოვის სამინისტროს მრავალნაირად დაურღვევია კანონი, უსარგებლია უფლებით თავისის ინტერესებისათვის და სხვა-და-სხვა ბოროტ-მოქმედება ჩაუდენია.

რამდენად სამართლიანია გამომძიებელ კომისიის დასკვნა, სასამართლო დაგვანახვებს, თუ პარლამენტმა გარდასწყვიტა ამ საქმის განგრძობა.

—

**საფრანგეთი**. გაზეთები დიდს ყურადღებას აქცევენ ჟორჟ პიკოს წერილს ზომიერ პარტიათა პროგრამის შესახებ. ჩვენ ამას წინად მოვიხსენიეთ, რომ პიკო ერთად-ერთ საშუალებას სოციალიზმთან ბრძოლისათვის სთვლის ეკონომიურ რეფორმების შემოღებას. პიკო გაკვირვებით ამბობს, რომ სოციალისტთა მოძრაობას საზღვარი არა აქვსო, მათს ენერგიულს მოღვაწეობას დიდი ნაყოფი მოაქვს, პარტია იზრდება დღითი-დღე, დემოკრატიულს ნაწილში ერისას ის ძლიერს თანაგრძნობას პოულობს და სხვა. ამის მიზეზად პიკო ასახელებს იმ გარემოებას, რომ სოციალისტებს გარკვეული და მტკიცედ აღნიშნული პროგრამა აქვთო და ზომიერ პარტიებს კი არავითარი პროგრამა არა აქვთო, ამიტომაც მათი მოღვაწეობა უფერულიც არის და უნაყოფოც. ბურჟუაზთა პარტიები მხოლოდ იმას სცდილობენ, რომ ახლანდელი წეს-წყობილება სავსებით დაიცვან და დროის შესაფერისს რეფორმებს აღარ აძლევენ ქვეყანასაო. ამიტომ პიკო ურჩევს ზომიერ პარტიებს უთუოდ შეადგინონ პროგრამა, რომელსაც საფუძვლად ეკონომიური რეფორმები უნდა დაედოსო, რადგანაც მხოლოდ ამ გზით შეიძლება სოციალიზმის ზრდა შეჩერდესო.

პიკოსთანა ღაღადი პირველი მაგალითი არ არის საფრანგეთში და საეჭვოა—ბურჟუაზიამ ყური ათხოვოს ახალს მრჩეველს. რაც უნდა იყოს, სოციალიზმის ზრდას ბურჟუაზული პროგრამა ვერ შეაჩერებს, რადგანაც ბურჟუაზია ვერ დააკმაყოფილებს მუშათა მისწრაფებას.

## შემოწირულება.

—

ლეონიდე სიმ. ქიქოძემ გადმოსცა ბახვის სახალხო ბიბლიოთეკას 30 მანეთი ფული, შეკრებილი მის მიერ ქ. ბათუმში შემდეგ პირთაგან: გრ. ვოლსკისაგან 5 მან., გრ. ს. ქიქოძისაგან 10 მან., ნინო ქიქოძისაგან 2 მან. 75 კ., შახნაზაროვისაგან 2 მან., ფარნაოზ დავითიასაგან 1 მან., ა. ცატუროვისაგან 1 მან., №№-თაგან 8 მან. 25 კაპ.

ამავე ბიბლიოთეკას შემოსწირეს ფული: ნინა ნიტ. ასულმა ბერეჟიანისამ 10 მან., ბლადოხინმა დ. ქიქოძემ 5 მან., ივანე ქაიხოსროს ძე ბოლქვაძემ 3 მან., თამარ თავართქილაძისამ 1 მან., გიორგი ჯინჭარაძემ 1 მან., გრიგოლ ივანეს ძე ქიქოძემ „მეურნე“ 1895 წლისა.

ყველა ზემოხსენებულ პირთ დიდს მადლობას ვსწირავთ ბახვის ბიბლიოთეკის გამგენი.

21 ნოემბერს, 1895 წ.

ბახვი.

## საქართველოს თავადნი.

—

თავადნი ამირეჯიბნი. საქართველოს მეფის ლუარსაბის 1613 წლის გუჯარში ასლან ამირეჯიბი თავადად არის წოდებული.

თავად ამირეჯიბთა გვარეულობა ქართლის თავადთა სიაშია აღნიშნული, რომელიც მეფის ერეკლე II-ის მიერ რუსეთის მთავრობასთან 1783 წელს შეკრულს ტრაქტატსა აქვს ზედ დართული.

2 თებერვალს 1824 წელს უმაღლესად დამტკიცებულის სახელმწიფოს საბჭოს განაჩენით თავადებად ცნობილ არიან და V გვარეულობათა წიგნში შეტანილ არიან: 1) ოსპან დავითის ძე და შვილნი მისნი ნიკოლოზი და სასოლის; 2) ზაზა და ქაიხოსრო ქაიხოსროს ძენი; 3) კასტანგ დავითის ძე; 4) როსტომ დავითის ძე და შვილნი მისნი დავით და ივანე; 5) ქაიხოსრო მეჯაბუკეს ძე და შვილი მისი სოლომონი; 6) დიმიტრი, დავით და გიორგი ზაალის ძენი; 7) სვიმონ სარდიონის ძე და 8) დარისპან სოლომონის ძე ამირეჯიბნი.

უმართებულესის სენატის დადგენილებით 29 ნოემბერს 1850 წელს, 24 სექტემბერს 1851 წ., 4 ოქტომბერს 1867 წ. ამ გვარს შეუერთდნენ: 1) სარდიონ სვიმონის ძე; 2) მიხეილ ქაიხოსროს ძე და 3) დიმიტრი კასტანგის ძე ამირეჯიბნი.

6 დეკემბერს 1850 წელს უმაღლესად დამტკიცებულ საქართველოს თავადთა საოჯახო სიაში მოხსენებულნი არიან ამირეჯიბნი: 1) ალექსანდრე ზაალის ძე და ცოლი ამისი თეკლე და 2) როსების ქვრივი—სალომე და შვილნი ამათნი: პრასკოვია ქაიხოსრო და თადეოზ როსების ძენი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

1 დეკემბერი.

**პეტერბურგი**. სახელმწიფო საბჭოს წევრს კონსტანტინე კარლოსის ძეს გროტს დღეს შეუსრულდა 60 წლის სახელმწიფო მოღვაწეობის დღე. იუბილარი ამ ჟამად ნიცაში იმყოფება.

**პერმი**. საბჭომ დაადგინა დიდის მთავრინა ოლგა ნიკოლოზის ასულის დაბადების დღის სამახსოვრად პირველი სახალხო სასწავლებელი გახსნას ჯარის-კაცთა უბანში, რისთვისაც გადასდო 250 მან. პირველ მოწყობისათვის და 1000 მანეთიც წლიურად.

**რომი**. მაიორი ტოზელლი აბესსინელთ ამბალაჯში მოკლეს. იტალიელნი ამტკიცებენ, აბესსინელთ დიდი ზარალი მოუვიდათო. რასალულა, რას-მანგაშა დაჭერილნი თურმე არიან, როგორც ამბობენ.

**მილანი**. 90,000 შოანელნი 90 კილომეტრზე თურმე არიან ადიგრადის სამხრეთით და ჰსურთ გენერალს ბარატიერს გზა შეუკრან.


## განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. სტოროჟენ შჩერბინინისა, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი. 5—6 საათ. შაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. ბ. ბუროვი, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ა. ბ. ბუროვი. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857 1468)

კბილის ექიმი
ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 10-დგან 2 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (166—1891—57).

ევროპიული ცეკვის მასწავლებელი
ტფილისის კადეტთა კორპუსისა

გლინსკი

(საპერის ქ., № 26, საპერთა ყაზარმის პირდაპირ).

1895 წლის 1-ლ დეკემბრიდამ 20 თებერვლამდე 1896 წ. დანიშნული მაქვს სპეციალური კურსი საბალო ევროპიულ ცეკვათა შესასწავლად. ამ კურსზე მონაწილეობის მიღების მსურველთ შეუძლიანთ 2 დეკემბრამდე ჩაეწერნენ, რადგანაც ამ რიგად უფრო ჩქარა და კარგად შეისწავლიან ცეკვას. იმათთვის, ვინც ჩემის სწავლების მეთოდა არ იციან, თავდებად ის გარემოება იქნება, რომ აგერ შვიდი წელიწადია კადეტთა კორპუსში ცეკვის მასწავლებლადა ვარ (1889 წ. 1-ლ სექტემბრიდამ) 1, 2, 3, 4, და 5 კლასებში. ყველა, ვინც-კი მოისურვებს ცეკვის შესწავლას, დარწმუნებული უნდა იყოს, **რომ ჩემი გაკვეთილები უთუოდ შეასწავლიან ცეკვას** და ფუჭად არ ჩაუვლის არც დრო და არც ფულის დახარჯვა. მშობლების დასამშვიდებლად, რომელნიც-კი შვილებს გამოჰგზავნიან ჩემთან სასწავლებლად, შევნიშნავ, რომ მათს შვილებს სასტიკი მეთვალყურეობა ექნებათ მიქცეული. მშობლებს (თუ-კი ამას ადგილი ნებას მისცემთ) შეუძლიანთ გაკვეთილებს დაესწრნენ ხოლმე იმის სანახავად, თუ სწავლება როგორ მიდის.

ფასი საშუალოა.

(1- 2063—1).

გამოვიდა და ისყიდება
ყველა წიგნის მაღაზიებში

მამის ერთგული

მოთხრობა ყმაწვილებისათვის, ქრისტეფორე შმიდტისა, თარგ. სალომე შუბათელისა.

ფასი 15 კ.


Дозволено цензурою, Тифлисъ 1-го Декабря 1895 г

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.